პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 23 ნოემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 656 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავალე ელს. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ახალწვეულო, სწერე გაზეთში.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენს ნაწილებს ახალწვეულები ესტუმრენ. მათ უკვე შესძლეს გაეცნობა სამხედრო ადათების და წესების. ძველი კორესპონდენტები ბევრ რამეს სცყურადღებოს გვწერდენ ახ ლებზე.

თვით ახლები კი არსად სჩანან. ერთმა-ორმა მოიწერა წერილი. შემდეგ გაჩუმდენ—მათი ხმა არ ისმის. ეს კი შეუძლებელია.

რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენი გაზეთი სამხედრო გაზეთია. სამხედრო არის არა მარტო იმიტომ რომ ის სამხედრო საქმეს ემსახურება, არამედ იმიტომაც, რომ მასში მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები. ჯერჯერობით ჩვენს წითელ არმიელებს გაზეთის ნახევარი უჭირავთ.

ჩვენი სურვილი და მიზანია წითელ არმიელების წერილებმა დაიკაონ გაზეთის ორი მესამედის არა ნაკლები

რა არის ამისათვის საჭირო?

ამისათვის საჭიროა წითელ არმიელთა დიდი უმეტესობა ჩაებას კორესპონდენტთა ფერხულში.

თავის თავად ცხადია, პირველი ცდა ყველას გაუჭირდება.

მაგრამ ეს არაფერია. რედაქცია ყოველთვის მზათ არის გაასწოროს წერილები და ისე გაუშვას. გარდა ამისა ძველმა სამხედრო კორესპონდენტებმა, მეთაურებმა და განსაკუთრებით პოლიტიკურმა მომუშავეებმა უნდა ყოველგვარი ზომები მიიღონ ახალწვეულების რიცხვიდან კორესპონდენტების შექმნაში.

რაც მეტია რიცხვი ნაწილის კორესპონდენტებისა მით უფრო უკეთ იქნება გაშუქებული ნაწილის ცხოვრება.

ამიტომ ნაწილის ხელმძღვანელებმა თვით უნდა იზრუნონ ახალწვეულებში კორესპონდენტების კადრის შექმნის შესახებ.

ახალწვეულო! დაუახლოვდი შენს გაზეთს. იკითხე ის, მოაწოდე წერილები. იქ გაიგებ შენ რა არის ავი და კარგი. შეისწავლი ცხოვრებას და შეძლებ ცხოვრების პირობების ისე მოწყობას, რომ ვერც ერთი მტერი და ორგული ვერას დაგაკლებს.

სოფლის ჭირ-ვარამი

სოფლის კულტურული საჭიროებანი.

სოფელში უმთავრესად ორი კულტურული დაწესებულებაა:

სკოლა და სამკითხველო.

ამ წერილში მინდა აღვნიშნო ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება სამკითხველო.

დღეს სოფლად მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებს ვერ შეუგნიათ ან და დაუვიწყიათ ის კულტურული მნიშვნელობა სამკითხველოსი, რომელსაც ეს უკანასკნელი ასრულებს სოფლის განათლების საქმეში.

იშვიათია რაც რომ პატარა სოფელი იყოს, იქ არ იქნეს სამკითხველო, რომელსაც უმეტესად იცნობთ იმ წარწერიან აბრის მიხედვით, რომელიც ბრტყლადაა გადაჭიმული იმ შენობაზე, სადაც სამკითხველოა მოთავსებული, ეს უფრო ხშირად კი დაკეტილ ეკლესიებშია.

საუბედუროდ, სამკითხველო უმეტეს დროს დაკეტილია და რომც ღია იყოს შიგ ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს.

რატომ?

იმიტომ რომ გაზეთს წესიერად ვერ იწერენ და ის არც მოდის თავის დროზე.

იმ შემთხვევაში თუ გაზეთი შეფმა ან სხვა კერძო პირმა გამოუწერა სამკითხველოს, ის იქ მისვლისთანავე მიაქვს ან მასწავლებელს ან სოფლის უსაქმო ინტელიგენტს, რომლებიც არ უბრუნებენ უკან გაზეთს ან და თუ დაუბრუნეს ძლიერ დაგვიანებით, როდესაც გაზეთმა უკვე დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

ასეთ მდგომარეობაშია გაზეთით სარგებლობის საქმე სოფლად.

რაც შეეხება გლეხთა პოპულიარულ წიგნებით სარგებლობას ის სრულიად მოუწესრიგებელია.

წიგნები არ მოიპოვება არა მარტო თემის სამკითხველოში, არამედ რაიონებშიაც.

რაშია საქმე? ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში სოფლად მომუშავე ამხანაგებმა ვერ შეიგნეს კულტურულ მუშაობის საჭიროება, მიუხედავათ იმ უამრავ დადგენილებისა ამ საკითხებზე, რომელიც გამოქონდათ პარტიულ თუ საბჭოთა ყრილობებს. პარტიულმა ამხანაგებმა, კომკავშირელებმა და პატიოსანმა მოქალაქეებმა უნდა შეებრძოლონ ზევით აღნიშნულ უარყოფითი მოვლენებს. დროა, დასძრან კულტურული მუშაობა სოფლად არსებულ გაყინულ წერტილიდან.

სამკითხველო უნდა დაემზგავსოს სამკითხველოს; იქ თავის დროზე უნდა იყოს გაზეთები და მით უფრო ის აუცილებელი წიგნები, რომელიც საჭიროა სოფლისათვის. აქ უნდა აღვნიშნო ერთი რამ, რომელიც დიდ კულტურულ და ნაყოფიერ მუშაობას გასწევს სოფლად.

ეს არის ჯერ სოფლისათვის უჩვეულო **კედლის გაზეთი**, რომელიც დიდი ხანია არსებობს ქალაქად, ჯარის ყველა ნაწილებში, ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა შორის. კედლის გაზეთი არ იწვევს არავითარ ხარჯს და მის გამოცემა შესაძლებელია სოფლად მყოფ კულტურულ ძალებით. ის თავისუფლად შეიძლება გამოცემულ იქნას მაზრის, რაიონულ და თემების მაშტაბით.

და თუ სოფლად მომუშავეები მოიმიზეზებენ დროის უქონლობას, მათ ეთქვას, რომ უმჯობესია მეტი დრო მოანდომონ კულტურულ მუშაობას, ვიდრე მხიარულად დროის ტარება.

ს. ლ—ძე.

რადიო-დეპეშები.

გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობა პოლონეთში.

ამხ. დომბალი პოლონეთის ახალ პარტიის შესახებ.

პოლონეთის სეიმის გლეხთა დეპუტატმა და გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელმა პოლონეთის დამოუკიდებელ პარტიის შესახებ განაცხადა: „ორ პოლიტიკურ ბანაკის გვერდით წარმოიშვა და იზრდება მესამე. ეს არის რევოლიუციონურ მუშათა და გლეხთა ბანაკი.

პოლიტიკური ბრძოლა პოლონეთში თანდათან მწვავდება და სეიმიდან მასებში გადადის.

დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის წარმოშობა, რომელიც მოითხოვს მიწების რეფორმას გლეხთა სასარგებლოდ, ეროვნულ თვითგამორკვევას და მუშურ-გლეხურ მთავრობას—ყოველივე ეს მოასწავებს იმას, რომ თანამედროვე პოლონეთში მოხდა გარდატეხა გლეხთა მოძრაობასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში."

აღიმაღლეთ ხმა ბესარაბიის მშრომელთა განადგურების წინაალმდეგ.

მოსკოვის ბესარაბიელთა საზოგადოების მემორანდუმი.

ბესარაბიელთა საზოგადოებამ-„შორს ხელები რუმინეთის მტაცებელთა ბესარაბიისაგან-“მიმართა მემორანდუმით ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციას.

მემორანდუმი მოუწოდებს ინგლისის მუშების წარმომადგენლებს გაეცნონ ბესარაბიის საკითხებს, ბესარაბიის მუშებისა და გლეხების ტანჯულ მდგომარეობას და ყველაფერი ეს გადასცენ ინგლისის პროლეტარიატს.

მემორანდუმი ხაზგასმით აღნიშნავს მეორე ინტერნაციონალის გულგრილობას ბესარაბიის მშრომელთა დაცვის საქმეში და მოუწოდებს ინგლისის მუშებს აღიმაღლონ ხმა ბესარაბიის მშრომელთა განადგურების წინაალმდეგ.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებით რუმინეთის მემამულეები შეშინებული არიან.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში.

ისინი ვერ შერიგებიან საბჭოთა კავშირის ცნობას საფრანგეთის მიერ, რადგანაც ნოტა ითვალისწინებს პლემისციტის (დაკითხვის) მოხდენის შესაძლებლობას ბესარაბიაში.

მსხვილი კაპიტალისტების ორგანო „ადევერული“ აღნიშნავს რომ საბჭოთა კავშირი საფრანგეთის მიერ ცნობის შემდეგ, კვლავ წამოაყენებს ბესარაბიის სახითხს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ენერგიულ პროპაგანდას სრულიად მოუმზადებლად შეხვდა რუმინეთი და მოითხოვს დიპლომატიური კორპუსის გამოცვლას.

რუმინეთის გლეხთა პარტია მიუხედავად მთავრობის საწინააღმდეგო ზომებისა ძლიერდება.

საარჩევნო კრებებზე გლეხთა პარტიის ბელადებმა გააშუქეს რუმინეთის მდგომარეობა, განსაკუთრებით ტერორი და ხვრეტა ბესარაბიაში.

გლეხთა პარტიის ბელადმა ლუპუმ წამოაყენა მოთხოვნილება მთავრობის გადაყენებისა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ. თუ მთავრობა იხმარს ძალას, გლეხთა პარტიაც იმითვე უპასუხებს.

აი როგორი სწავლა-განვითარება ექონდათ ბავშვებში კათოლიკურ მღვდლებს.

ოდესის ქალაქის საბჭოს ადმინისტრატიულ-საკონტროლო სექციამ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ბნელი ბუდე კათოლიკურ სამღვდელოების. შედგენილი ოქმი იძლევა საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის (სამღვდელოების ძხეცური სასამართლო) სურათს.

24 ობოლი ჩამწყვდეული იყო საკანში, რომელსაც ფარული კარები ჰქონდა და მუდამ დაკეტილი იყო. საკანში სამარისებური სიჩუმე მეფობდა. კედლებზე გაკრული იყო ჯვარცმის, წმინდანების, მღვდლების და მეფის ოფიცრების სურათები.

ბავშვებში გარემოების გავლენით შეიქმნა რელიგიური განწყობილება.

ბავშვებს გულში უნერგავდენ განდეგილობას. მათ ძლიერ კვებავდენ, უქმნიდენ საოცარ ცხოვრების პირობებს და რელიგიურ წესებიდან უმნიშვნელო გადახვევისათვის სასტიკად აწამებდენ.

იყო სხვათა შორის ასეთი სასჯელიც. მთელი თვეობით ბავშვს მოუსპობდენ შეუწყვეტდენ პურის მიცემას.

რევოლიუციონურ დღესასწაულების დროს ბავშვებს აძლევდენ მძიმე და ჭუჭყიან სამუშაოს.

გასულ შემოდგომაზე, როცა სკოლებში რევიზია სწარმოებდა, ბავშვები წაიყვანეს პოლონურ სენაკში სადაც ისინი მთელი კვირის განმავლობაში დამწყვდეული ჰყავდათ.

კათოლიკე მღვდლები არა მარტო აწამებდენ კათოლიკე ბავშვებს, არამედ სცდილობდენ გადაეყვანათ მართმადიდებელთა ბავშვები კათოლიკურ სარწმუნოებაზე.

ირკვევა, რომ ეს „თავშესაფარი“ მომეტებულად არსებობდა ამერიკულ დამხმარე კომიტეტის დახმარებით.

აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მიმოწერა პოლონეთთან, საიდანაც ეს დაწესებულება ღებულობდა დახმარებას.

დახმარების დიდი ნაწილი მიდიოდა კულაკებ-მღვდლების სასარგებლოდ, რომლებიც დიდ ზეიმებს აწყობდენ თავიანთ ოჯახებში.

მასალები გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

საბჭოთა ფედერაცია.

ფეიქართა მე-6-ე ყრილობა.

მოსკოვში გაიხსნა ფეიქართა მე-6-ე ყრილობა.

ყრილობის სხდომაზე ამხ. კუტუზოვმა აღნიშნა დიდი განსხვავება სამეურნეო ცხოვრებში მე-5-ე და მე 6-ე ყრილობებს შორის.

დღეს მრავალი მიღწევებია ჩვენში და შეიძლება დასახულ იქნას მომავლისთვის ახალი გეგმა, რათა აყვავებულ იქნას საფეიქრო მრეწველობა.

სრულიად კავშირის ყოფილ კატორღელთა საზოგადოებაში.

მოსკოვში გაიხსნა სრულიად კავშირის ყოფილ პოლიტ-კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს პლენუმი.

88 გამომჟღავნებული ბოროტება.

პოლოცკის გუბერნიის პროკურატურამ აღძრა 88 საქმე ადგილობრივ გაზეთში მოთავსებულ სოფლის კორესპონდენტების ცნობების მიხედვით.

თოვლიანი ქარიშხალი შავი ზღვის სანაპიროებში.

შავი ზღვის სანაპიროებში ოდესის რაიონში მოვიდა თოვლი. სასტიკი ქარიშხალი მძვინვარებს.

ქარიშხალი ამტვრევს და ანადგურებს წვრილ გემებს. აფრებიან ხომალდების მდგომარეობა მეტად სახიფათოა.

საფრანგეთის თვითმფრინავი „კოდრონი“.

21 ნოემბერს, მიუხედავათ ბურუსიანი ამინდისა, მოსკოვიდან საფრანგეთისაკენ გაემგზავრენ თვითმფრინავ „კოდრონზე“ ჩვენი ფრანგი სტუმრები. „ზვენიგოროდში ჩავრენამდი თვითმფრინავი მოხვდა ღრუბლების ისეთ მასაში, რომ შეუძლებელი შეიქნა მისი წინსვლა.

„კოდრო“ იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო მოსკოვში და გადაედო მოგზაურობა.

თათბირი პროფჰიგიენის საკითხებზე.

25 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება სრულიად კავშირის თათბირი პროფესიონალურ ჰიგიენის საკითხების გარშემო.

ახალი ბოროტება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

დონის ოლქში, ელიზავეტინსკის დაბაში მოჰკლეს სოფლის კორესპონდენტი კოპრიკი. მსხვერპლი იპოვნეს განკმირული გულით. მას შეკრული ჰქონდა ხელები.

კოპრიკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კედლის გაზეთში.

მკვლელობის მოხდენამდი ის მიემგზავრებოდა რაღაც საბუთების ქაღალდებით როსტოვში.

მისი მოკვლის შემდეგ ქაღალდები უკვალოდ გაქრა.

რადიო ყოველ მხრიდან.

მოძრაობა შეიხ ხეიზელის წინააღმდეგ.

ოფიციალურ ცნობის თანახმად მთელ ხუზისტანში ადგა ხალხი ხეიზალის წინააღმდეგ. აჯანყებულმა ტომებმა სრულიად გაანადგურეს შეიხ ხეიზალის სასახლე.

ესტონეთის კომუნისტების პროცესი.

მეთერთმეტე დღე სასამართლომ მოანდომა არსებითი პრალდებების განხილვას.

წაკითხულ იქნა სხვა და სხვა კრებებზე გამოტანილ რეზოლიუციების ნაწყვეტები, რომლებშიაც მიღებულია კომინტერნის პოზიცია.

ლენინიზმის დროშის ქვეშ.

საფრანგეთის კომპარტიის ყოველ დღიური ორგანო „ბიულეტენ კომუნისტი“ გადაკეთებულ იქნა ყოველ კვირეულ თეორეტიულ ორგანოდ.

პირველ ნომერში რედაქცია აცხადებს, რომ საჭიროა შესწავლილ იქნას ლენინიზმი, რომელიც ერთად ერთი საშუალებაა პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

პოლიტიკურ მომუშავეთა და მეთაურთა საყურადღებოდ.

სამხედრო მეცნიერება და საქმე ისე, როგორც სხვა მეცნიერება მუდამ ზრდას, ცვლილებას და წინსვლას განიცდის. ტეხნიკასთან ერთად მიექანება ჩვენი მეცნიერებაც ის, რაც წარსულში, თუ გნებავთ სულ ეხლახან მისაღები იყო მიუღებელია დღეს. ის, რაც მისაღებია დღეს შეიძლება მოუღებელი იყოს ხვალ ამ სიტყვის ისტორიული მნიშვნელობით. განსაკუთრებული დაღი დაასო სამხედრო მეცნიერებას უკანასკნელმა მსოფლიო ომმა.

მან დიდი ცვლილებები შეიტანა სამხედრო საქმეში.

მთელი რიგი ახალი კონსტრუქციებისა იქმნა შემოღებული ჯარის ერთეულებში.

სხვა და სხვა საომარმა გამოგონებებმა და საშუალებებმა სხვა და სხვა თავდაცვითი იარაღების და საშუალებების გამოგონება მოითხოვა.

ერთი სიტყვით სამხედრო მეცნიერება, სამხედრო ტეხნიკა და საზოგადოთ სამხედრო საქმე მიდის წინ.

წითელი ჯარის მეთაურები და ხელმძღვანელები, რასაკვირველია, სამხედრო მეცნიერების გარეშე ვერ დავრჩებით.

გვესაჭიროება მეტი თვითგანვითარების წარმოება.

ამისათვის საჭიროა ჟურნალები, გაზეთები და წიგნები.

სიმართლე უნდა ითქვას ძნელია ყოველ საჭირო წიგნის, გაზეთის და ჟურნალის შეძენა.

მაგრამ აუცილებლობა მაი მოითხოვს შევიძინოთ და მათ შუალებით გავაფართოოთ ჩვ სამხედრო ცოდნის ჰორიზონტი.

შკოლა საერთო გეზს და გ იძლევა. ნამდვილი შკოლა და მ წავლებელი თვით სამხედრო ნა ლია. იქ შეიძლება გაცილებით ტის მიღება და შეძენა.

ჩვენ ამ ჟამად გვინდა მიუთით ამხანაგებს საბჭოთა კავშირის ს ხედრო რევოლიუციონურ საბ ყოველ დღიურ ორგანოზე: გ „Красная Звезда“-ზე. ეს ზეთი გამოდის მოსკოვში.

თვეში ღირს ერთი მანეთი.

თანდართული აქვს რევოლიუც ონურ საბჭოს ბრძანებები და გ კარგულებანი.

გაზეთის რედაქციას კავკასიის წ თელ დროშოვან არმიის პოლიტ კურ სამმართველოსთან აქვს თავი განყოფილება. ამ განყოფილები ან პირდაპირ მოსკოვიდან შეიძლ ეს გაზეთი გამოვიწეროთ. გაზ თავის შინაარსით არ წააგავს უბრალ გაზეთს, იქ მრავალი სპეციალუ ხასიათის წერილებია.

ათასი საკითხები ირჩევა სამხედ ნაწილების შესახებ.

სამხედრო მეთაურისათვის ის ა ცილებელ საგანძურს შეადგენს.

შეიძლება ფულის საკითხმა შეგ ყოყმანოს. ამ შემთხვევაში ჩვე რჩევა იქნებოდა კოლექტიური გ მოწერა. ერთ ლეგიონში რამოდ ნიმე ცალი, რომ მაინც გვქონდ კარგია.

პატარა კაც

შეთანხმებლები უკმაყოფილონი არია რევოლიუციონერებით.

ინგლისის დელეგატების სიტყვებმა ყრილობაზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია შრომის ფედერაციის ბელადებში.

განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისელების გამ ვლამ საბჭოთა კავშირის ცნობ და მასთან თანამშრომლობის სა რგებლოდ.

დაიცავით სისუფთავე.

უსუფთაობა ხელს უწყობს ავადმყოფობის გავრცელებას.

ადამიანს ჯანმრთელობაზე უკეთესი არა გააჩნია რა.

ბევრი ამბობს ჯანმრთელობას ყურადღება ექცევაო. ბევრი წინააღმდეგ-ყურადღებას არ ვაქცევთო. მე სიმართლე უნდა გითხრათ უკანასკნელებს უფრო ვეთანხმები. ჯანმრთელობა ჩვენ სასაცილოდ გვყავს აგდებული. ამის მიზეზი ჩვენი მეუგნებლობაა. ბევრს დღესაც ვერ გამოურეკია თავიდან ის ცრუ აზრი, რომ იქ სადღაც ცაში ღმერთი არ იჯდეს. ამ ღმერთს აქვს ერთი დიდი დავთრის წიგნი. შიგ ყველა უწერია თავნიან პატარაიანათ. თვითეულ ადამიანს წინასწარ აქვს გადაწყვეტილი ამდენი და ამდენი წელიწადი იცხოვრეო. თუ ღმერთს უნდა კარგად იქნები—თუ არა ავადაო. ეს ტყუილია. ღმერთი ხალხის გამოგონილია. მღვდლები და ბერები კიდევ ამ ცრუ შეხედულებას ალვივებენ. თითონ არც ღმერთი წამდათ და არც ხატი. ხალხს კი აშინებდენ; ბევრ კვერცხებს, ტაბლებს და ცხვრის ბეჭს მოგვიტანენო. დღეს წუთისოფელი სხვა ყაიდაზე არის მოწყობილი.

სახელმწიფოს სათავეში მუშა და ღარიბი გლეხია. მღვდლებს ჩვენში გასავალი აღარ აქვთ; თუ სადმე კიდევ შერჩენიათ, უნდათ ვეცადოთ იქაც მოვსპოთ, მაგრამ ამას ეკლესიების დაკეტით, მღვდლების გალახვით და ძალით გაკრეჭით კი ვერ მივახწევთ. საჭიროა ჩვენ შევიქნეთ შეგნებული ხალხი. ვიცოდეთ ცხოვრების ავკარგი და ამის შემდეგ ეკლესიაში ქუდიც, რომ შეგვიგდონ არ შევალთ.

ავადმყოფობას თვალით უჩინარი ცხოველები იწვევენ. ჩვენ ამის შესახებ უკვე ვსწერდით.

თუ საჭიროთ დავინახეთ კიდევ დავსწერთ. მხოლოდ დღეს ჩვენ გვინდა მკითხველებს მიუთითოთ ავადმყოფობის ხელშემწყობ პირობებზე. ასეთი ხელშემწყობ პირობებს შორის ყველაზე მეტი ადგილი უკავია უსუფთაობას. უსუფთაობა ხელს უწყობს იმ პატარა ცხოველების გამრავლებას, რომელნიც ავად მყოფობას იწვევენ. ეს პატარა ცხოველები კი შეძვრებიან ადამიანის ტანში ამა თუ იმ გზით, გახდიან მას ავად და ბევრ შემთხვევაში წუთისოფელსაც კი გამოასალმებენ.

ამიტომ ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა გამოიხატებ სხვათა შორის უსუფთაობასთან ბრძოლაში.

უსუფთაობის ერთი ცუდი შედეგი, რომელიც ერთნაირად აწუხებს ჩვენ გლეხს და წითელ არმიელს —არის მკბენარების (ტილის) გაჩენა.

საქმე ის არის, რომ თვით გაჩენა არც ერთ ცხოველს არ ძალუძს. ეს დღეს მიღებულია მეცნიერების მიერ. რას ნიშნავს მაგალითად, თვით გაჩენა არ შეუძლია არც ერთ ცხოველსო?

კერძოთ მკბენარს?

ეს იმას ნიშნავს, რომ მკბენარი უჩნდება ადამიანს არა საკუთარი ტანიდან, როგორც ამას ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, არამედ უკვე არსებულ მკბენარიდან.

ამიტომ თუ ადამიანი მიიღებს ზომებს მკბენარის წინააღმდეგ, მას მოუსპობს საშუალებას არსებობისას. მკბენარი ერთგვარი არ არის. არის ისეთი მკბენარი, რომელიც მხოლოდ თავის თმაში ბუდობს, მეორე რიგი ტანსაცმელში, მესამე სასქესო ორგანოთა თმაში.

ახირებული ცხოველია მკბენარი. ეს სამი სახე მისი თავის საცხოვრებელ ადგილს არ მოსცილდება.

მაგალითად ტანსაცმელის მკბენარი გაძღება ადამიანის სისხლით და კვლავ ტანსაცმლის ნაოჭებში დაიბუდებს. თავის თმის, თავს არ გამოცილდება, სასქესო ორგანოების, სასქესო ორგანოებს.

მკბენარი აწუხებს ადამიანს. ამაზე ლაპარაკი მე მგონია ზედმეტია.

ჩვენ ვიცით მაგალითად, რომ მკბენარი ღორსაც ესევა. ვიცით ის რომ ზოგ შემთხვევებში ვეებერთელა ღორს დასცემს მკბენარიანობა.

და თუ ღორს, ასეთ უხეშ ცხოველს ამ დღეში აყენებს, რა უნდა მოუვიდეს ადამიანს მკბენარებისაგან. ჯერ ერთი რომ მკბენარი ადამიანს აწუხებს, როგორც უფასო „მოსადილე“ შემდეგ ამისა ის აღიზიანებს სხეულის კანს. იწვევს მწვავე ქავილებს. ქავილის დროს ადვილია გაკაწვრა მით უფრო, რომ კმბენარის ნაკბენი ეგზომ ქავილს იწვევს, რომ ადამიანი მზად არის კანი მთლიანადაც კი მოიგლიჯოს. ამ რიგად გარდა იმისა, რომ მკბენარი პირდაპირ აწუხებს და ვნებს ადამიანს, მას მოაქვს გარეშე ზიანიც. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის კანი გაუვალია მოკლე ცხოველებისათვის; მაგრამ ეს მანამდე, სანამ კანი მავნე დაუზიანებელი. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ის დაზიანებულია შეძლება ეძლევათ სხვა და სხვა ავადმყოფობის გამომწვევ მიკროორგანიზმებს შეიჭრან სხეულში და ამ რიგად გამოიწვიონ ესა თუ ის ავადმყოფობა. აქედან ჩვენთვის აშკარაა, თუ რა დიდი ზარალის მოტანა შესძლებია მკბენარს გარდა პირდაპირი უსიამოვნებისა.

სასტიკი ბრძოლა მას.

რასაკვირველია ის მტერია ჩვენი. ამიტომ სასტიკი ბრძოლა მის წინააღმდეგ. რაში გამოიხატება ეს ბრძოლა? თავის მკბენარის შესახებ სხვა და სხვა წამლებს მოგვაწვდიან. ჩვენ არ მიუთითებთ ამ წამლებზე და პირდაპირ ურჩევთ ყველას დაიღოს თმა ძირში. ეს საუცხო საშვალებაა მის მოსასპობლად.

რაც შეეხება ტანსაცმლის მკბ არს—მის საწინააღმდეგოდ მდუღ წყალზე უკეთესი საშვალების მ გონება შეუძლებელია.

საჭიროა ყოველ რეცხვის დრ სარეცხი კარგათ გამოვხარშოთ.

თუ ამ ზომებს შევასრულებ არც ერთ ჩვენთაგანს არ ექნე მკბენარი.

მკბენართან ბრძოლა განსაკუ რებით საჭიროა ყაზარმაში, ვინა დან აქ ბევრი სულია ერთად თ მოყრილი. თუ ერთ ვინმეს ექნა, იმის ნიშანია, რომ ყველას გა დება. ამიტომ ჩვენი მიზანია არა არ ყავდეს არც ერთი მკბენარი, მ გრამ ამაზე ნუ შევჩერდებით. ნ დავივიწყებთ იმასაც, რომ სოფლ ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მ ბენართან ბრძოლას. მივსწეროთ შ რომ იქაც სისუფთავე დაიცვან.

მაშინ კი, როდესაც უვადო შ ბულებაში წავალთ, საჭიროა ჩვ თითონ ვიყოთ ამ აზრის გამავრც ლებელი და შემსრულებელნი.

ვებრძოლოთ სიბინძურეს. ხელს უწყობს ავადმყოფობას. ა დმყოფობა ასუსტებს და უ ტეს შემთხვევაში კი კლავს ად მიანს.

სიბინძურე კონტრევოლიუციონერებზე ნაკლებ საშიში არ არის.

პ. ბ—ძე.

ჩვენს წითელ ჯარში

როგორ შეგვხვდენ ახალწვეულებს პირველ საარტილერიო დივიზიონში.

მივედით თუ არა ახალწვეულები ჩვენს დივიზიონში, სამი დღის შემდეგ გაიმართა ჩვენი საპატივსაცემლო საერთო საზეიმო კრება. კრებას კერძო მოქალაქენიც დაესწრენ. გააკეთეს მოხსენება ჩვენი მოვალეობის შესახებ ნაწილებში, დაგვარიგეს თუ როგორ უნდა მოვიქცეთ და სხვა. აქვე გაგვირკვიეს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეში და გაგვაცნეს წითელი არმიის მიზანი და დანიშნულება. მოგვესალმენ აგრეთვე მუშების წარმომადგენლებიც, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია ყველა ახალწვეულებში. კრების შემდეგ ჩვენივე პატივისცემის აღსანიშნავად დაიდგა წარმოდგენა პიესები მშვენივრად ჩაატარეს. ფრიად ნასიამოვნები საზოგადოება და ახალწვეულები დაიშალენ.

ასე ჩატარდა ჩვენი ყაზარმაში მოსვლის პირველი დღეები. იმედი გვაქვს ჩვენი დივიზიონის ძველი შემადგენლობა ყურადღებით მოგვეპყრობიან მომავალშიც და თავისი გამოცდილებით გაგვიადვილებენ სამსახურს.

ახალწვეული.

რას ნიშნავს კარგი ხელმძღვანელობა.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლაში ნორმალური მეცადინეობა უკვე 23 წლიდან დაიწყო, მაგრამ ამა წლის გეგმიანი მუშაობა, შედარებით წასულ წელთან დიდათ განსხვავდება.

არა მარტო ეკონომიური პირობების გაუმჯობესებით, არამედ სხვა მხრივაც. ეს არის სკოლის უფროსის ამხ. ვ. ტალახაძის თავდადებული მუშაობა სკოლაში.

წასულ წელში ამხ. ტალახაძეს იშვიათად თუ ვნახავდით სკოლაში მოსულს, რადგან სხვა და სხვა თანამდებობით იყო დატვირთული და დრო არ ქონდა.

წელს კი აგვისტოდან დაწყებული მუდამ სკოლაში მუშაობს და ცდილობს სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც ეკონომიურად ისე კულტურულად.

ხშირად გამოდის ამხ. კრებებზე და აკეთებს მოხსენებას, კურსანტებს აქეზებს და აინტერესებს სწავლა-განათლების მიღებით და მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად.

აგრეთვე მოეწყო-მისი მეთაურობით ინსცენიროვკა, კვირაში ერთხელ ლაბორატორიული მეთოდის ჩასატარებლად, რაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს კურსანტებზე.

არჩევენ ყოველგვარ უარყოფითი მხარეებს ლაბორატორიული მეთოდის და შეაქვთ შესწორება.

თუ როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებლები ან კურსანტები მეცადინეობის დროს და სხვა.

ასეთი ცდების საშვალებით დღეს საუკეთესოთ ტარდება ლაბორატორიული მეთოდი ჩვენს სკოლაში.

ყველა კურსანტები დამოუკიდებლად ეთვითცნობიერებიან ყველა საგნებში.

ყველა ეს მიხწევები ამხ. ტალახაძის მუშაობის ნაყოფია.

ლავრ. ჭელიძე.

საჭიროა უფრო მეტი კავშირი.

ნოემბრის პირველ რიცხვებში მეხუთე ტერ-ლეგიონის მესამე ათასეულის და დ. ქრებალოს კომუჯრედის გაერთიანებულ კრებაზე გადაწყდა ქრებალოს გასუფთავების მიზნით მოეწყოთ კვირაობა.

გათენდა თუ არა დანიშნული დღე, ჩვენი ათასეულის მთელი შემადგენლობა შეიჭურვა ცოცხებით, ნიჩბებით და სხვა საჭირო იარაღებით. საერთო ხალისით და მონდომებით შეუდექით კომუჯრედის დადგენილების სისრულეში მოყვანას. ადგილობრივმა მოსამსახურეებმა კი დიდი გულგრილობა გამოიჩინეს. ისინი არ სჩანდენ სამუშაოზე. კომუჯრედის სხდომაზე დადგენილი იქნა კვირაობაში ადგილობრივ დაწესებულების მუშა—მოსამსახურებსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. მაგრამ ისინი არ სჩანდენ, რაც სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს. აქ აშკარავდება სათანადო კავშირის უქონლობა, რაც აუცილებლად გამოსწორებული უნდა იქნეს. ზოგიერთი სამოქალაქო ორგანიზაციების მოსამსახურენი მოვიდენ, მაგრამ გაკეთებით არაფერი გაუკეთებიათ. ასეთი მოქმედებისათვის ჩვენ მადლობას ვერ გადაუხდით მათ. საჭიროა მომავლისათვის მაინც შეიქმნეს უფრო მჭიდრო კავშირი, რათა ერთსულოვნად სრულდებოდეს ასეთი სასარგებლო და საქმიანი დადგენილებები.

სამხკორი ყულისკარელი.

ჩვენი საქმიანობა.

მეთაურთა სკოლის მესამე ასეულში კულტურული მუშაობის საქმე დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ კურსანტები მეტის-მეტად არიან დატვირთული სხვა და სხვა საგნებით, ყოველ ორშაბათობით მასწავლებლის თანდასწრებით ვმეცადინეობთ პოლიტ-საათებში, ვსწავლობთ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ისტორიას და მის მომავალ ამოცანებს.

ხშირად ვმართავთ კრებებს, სადაც მოხსენებებით გამოდიან თვითონ კურსანტები და აშუქებენ სხვა და სხვა საკითხებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ მუშაობას ხელი შეუწყო ჩვენი ასეულის ლენინის კუთხის მმართველ კომისიის გეგმიანმა საქმიანობამ. ლენინის კუთხეში ბევრი ისეთი რამ იყო, რომლის მნიშვნელობის დედა აზრი ბევრმა არც კი იცოდენ. ბევრს არ ქონდა წარმოდგენა სხვა და სხვა საგნებზე და პლაკატებზე.

კუთხის მმართველი კომისია შეკრებდა ამხანაგებს და ამნაირად ტარდებოდა საუბრები და ერკვეოდენ გაუგებარ საკითხებში.

ამ ჟამად ჩატარებულია ექვსი საუბარი ლენინის კუთხის შესახებ და ისევ გრძელდება ეს კოლექტიურ-კულტურული მუშაობა.

სამხკორი ლ. ჭელიძე.

პარიკმახერი უნდა გავაფრთხილოთ.

პირველ ლეგიონს ყავს პარიკმახერი, რომელსაც ევალება უსასყიდლოდ გაპარსოს წითელ არმიელები ყოველ თუთხმეტ დღეში ერთხელ. ასეთი იყო ლეგიონის სამხკომისა და უფროსის ბრძანება, მაგრამ აღნიშნული პარიკმახერი-არუთინოვი ამ ბრძანებას არ ასრულებს. ის მაინც არ იშლის თავისას და წითელ არმიელებს არ პარსავს ისე, თუ სასყიდელი არ მისცეს ფულის ან თამბაქოს (მახორკას) სახით. ასეთები კი ხშირად არა გვაქვს და ამიტომ ვრჩებით გაუპარსავი. ვსთხოვთ ჩვენს უფროს ამხანაგებს კიდევ მისკენ გაფრთხილება არუთინოვს ბრძანება შეასრულოს, და წითელ არმიელები გაპარსოს თუ კვირაში ერთხელ არა, ორკვირაში მაინც.

უმზგავსო საქციელისათვის კი სათანადო პასუხი უნდა მოეთხოვოს ამ ვაჟბატონს. ვიმედოვნებთ, რომ ამ მოვლენას სათანადო ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი ლეგიონის მესვეურები და უფრო კი ყურადღებით მოეპყრობა ლეგიონის მეთვალყურე კომისია.

წ. არმ. მ. ხუხუნაიშვილი.

3-მე ტერ-ლეგიონის მეორე ათასეულის გაერთიანებული კრება.

მესამე ტერ-ლეგიონის მეორე ათასეულში მოხდა ათასეულის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. დაესწრენ მესამე ლეგიონის სამხკომი ამხ. კობიძე, მისი თანაშემწე მხეიძე და გორის განსაკუთრებული განყოფილების რწმუნებული. კრებამ მოისმინა ა ხ. ახობაძის მოხსენება დუშეთის—ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მეორე ათასეულისადმი გაწეული დახმარებისა და აზრუნველობის შესახებ და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„დღიდან მეორე ათასეულის ქალ. დუშეთში ჩამოსვლისა ადგილობრივი ხელისუფლება დიდი აღფრთოვანებით შეგვხვდა. გაგვიწია ყოველგვარი დახმარება. თავისი ხარჯით მოგვიწყო საცხოვრებელი ბინები, სამზარეულო, სასადილო, გადმოგვცა სამხედრო ორკესტრი, გაგვიუმჯობესა კვების საქმე და ოქტომბრის შვიდი წლის თავზე გადმოგვცა წითელი დროშა. ყოველივე ამაში დიდი შრომა და ენერგია მიუძღვის დუშეთის აღმასკომის თავმჯდომარეს ძველს საპატიო წითელ არმიელს ამხ. ბრეგვაძეს. მეორე ათასეულის მთელი შემადგენლობა ვიძლევით პატიოსანი მხედრულ ფიცს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადმოცემულ წითელ დროშას არ დავხრით ძირს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის. მთელი კრება ნებართვას გამოითხოვს სამხკომ ამხ. კობიძისაგან, ამხ. ბრეგვაძეს მეორე ათასეულის საპატიო წითელ არმიელათ არჩევისათვის.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და მის დარაჯს წითელ არმიას.“

რეზოლიუციის ასლები კრების მოთხოვნით გადაეგზავნა დივიზ. პოლიტ-განყ., ცეკას და საქართველოს ცაკს.

ქოფავა.

საკლუბო მუშაობა მესამე ტერ-ლეგიონში.

ისეთ ნაწილებში მუშაობა, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პერიოდში იმყოფებიან არ არის ადვილი საქმე, განსაკუთრებით საკლუბო დარგში. ამ ჟამად ასეთია ყველა ჩვენი ტერიტორიალური ნაწილები. ასეთ მდგომარეობაში იყო მესამე ლეგიონიც, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი საკლუბო მუშაობა იმ თავითვე სწორ ნიადაგზე დაიწყო და შედეგებიც ფრიად დამაკმაყოფილებელი მივიღეთ. შეიძლება ჩვენს მუშაობას ჰქონდეს დეფექტებიც, მაგრამ ამას გაამართლებს ის გარემოება, რომ ლეგიონი დაიყო ათასეულებად, რომლებიც გადაიგზავნენ სხვა და სხვა მაზრებში და ცხადია ამას მოყვა კლუბის მუშაკების დაქსაქსვა. ამ ჟამად ლეგიონის კლუბში შემდეგი წრეებია დაარსებული: პოლიტიკური, ლიტერატურული, დრამატიული და საერთო განათლების. ყველა წრეებს მიზნათ აქვთ დასახული წითელარმიელების და მეთაურთა შემადგენლობის ერთმანეთთან დაახლოება, მოახდინოს მათში პოლიტ უცოდინარობის ლიკვიდაცია. ლეგიონში არსებობს აგრეთვე ფიზიკური კულტურის წრე, რომელზედაც მიმაგრებულია მეთაური ნაჭყეპია. უნდა ითქვას, რომ ეს ამხანაგი ვერ ამართლებს სავსებით იმედებს და ამის გამო ძლიერ მოიკოჭლებს აღნიშნული წრის მუშაობა.

დაარსებულია აგრეთვე მეთაურთა პოლიტიკური წრე, მაგრამ ვერც ის იჩენს აქტიურობას, რაც მიეწერება თვით მეთაურთა უინიციატივობას. გავახსენებთ ამხანაგ მეთაურებს, რომ საჭიროა მეტი ინტერესი ასეთი დიდი საქმისადმი და ამას ყურადღება უნდა მიაქციონ აუცილებლად.

თეთრიშვანელი.

ჩვენი შემოქმედებანი

„ცოდნის ტაძარი“ № 3.

(პირველ ლეგიონის ცალკე საკავშირო ასეულის საბიბლიოთეკო გაზეთი).

სიხარულით უნდა აღინიშნოს საკავშირო ასეულის კულტ-მომუშავეთა თავდადებული საქმიანობა ახალწვეულთა გათვითცნობიერების საქმეში.

განსაკუთრებით კედლის გაზეთების გამოშვებაში.

საერთოდ ასეულის კედლის გაზეთის „წითელი დროშის“ გარდა—რომელიც ამ ბოლო ხანებში თანდათან უკეთესდება, გამოდის აგრეთვე საბიბლიოთეკო ორ კვირეული გაზეთი, „ცოდნის ტაძარი“, რაც მიეწერება დაუღალავ ახალგაზრდა ბიბლიოთეკარის ენერგიულ მუშაობას და სიხალისეს.

ამ სამი დღის წინ გამოიცა ხსენებულ გაზეთის მორიგი მესამე ნომერი.

გაზეთი წინა ორ ნომერზე გაცილებით უკეთესია მხატვრობით, წერილების, ლექსების შერჩევით, სილამაზით და ფორმატით..

მასალები შერჩეულია და კარგადაც დალაგებული, რომლებიც სპეციალურად აშუქებენ საბიბლიოთეკო საკითხებს შესაფერისი ცოდნით.

გაზეთში არის აგრეთვე არა საბიბლიოთეკო წერილები, რაიც უკეთესი იქნებოდა არ მოთავსებულიყო—ამისათვის არის ასეულის კედლის გაზეთი.

აღსანიშნავია სამხკომ ამხ. ჭელიძის ერთგული, თავდადებული შრომა, ინიციატივა ყოველ პოლიტ-კულტ მუშაობაში და კერძოდ კედლის გაზეთების სასურველ ნიადაგზე დაყენებაში.

სანი

პარტიული ცხოვრება.

2-რე ასეულის კომ-უჯრედში.

17 ნოემბერს 1-ლ ლეგიონის 2-რე ასეულის კომ-უჯრედში მოხდა ასეულის შემადგენლობის გაერთიანებული ღია კრება, რომელსაც დაესწრენ როგორც პარტიული, ისე უპარტიო წ. მოლაშქრეებიც. კრებაზე მოვისმინეთ მოხსენება შემდეგი თემებზე: 1) მაკდონალდის მთავრობის დამარცხება ინგლისში, 2) განცხადებების გარჩევა პარტიაში მიღების შესახებ და მიმდინარე საკითხები.

მაკდონალდის დამარცხების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ცინცაძემ. ის ვრცლად შეეხო მას, თუ რა გააკეთა მაკდონალდის მთავრობამ თავის არსებობის დროს მუშების და გლეხების სასარგებლოთ.

ამხანაგმა აგრეთვე აღნიშნა მისი მთავრობის ორჭოფული მოქმედება და ორ სკამზე ჯდომა.

ამხანაგი შეეხო აგრეთვე თუ რა შესაძლებლობათა წინაშე აყენებს საბჭოთა ქვეყნებს ინგლისში კონსერვატორების გამარჯვება. სხვა და სხვა შეკითხვების შემდეგ მოხსენება ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად და მიიღეს ცნობათ. შემდეგ გარჩეული იქნა ერთი ამხანაგის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, მაგრამ სათანადო საბუთების უქონლობის გამო გადაიდო შემდეგ კრებისათვის.

ს. კინწურაშვილი.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი.

საქართველოს მადნები.

როგორც აღნიშნული გვქონდა, შავი ქვა არის მთავარი საფუძველი ჩვენი სახალხო მეურნეობისა საერთოდ, და სამთო მადნო წარმოებისა კერძოდ. შავი ქვის გარდა ჩვენს ტერიტორიაზე ბევრი მრავალი მადნებია, რომელთაგან ნაწილი მუშავდება, ნაწილი კი უცდის დამუშავებას.

თანამედროვე მსხვილ მრეწველობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს **რკინას.** საქართველოში რკინის მადანი მრავალ ადგილას არის: შორაპნის მაზრაში, რაჭის მაზრაში, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩათახის მადანს, რომელიც ტფილისიდან 75 ვერსით არის დაშორებული. ჩათახის რაიონი, ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნეში აწვდიდა საჭირო რკინას საქართველოს და მის მეზობელ სახელმწიფოებს. გერმანელების თაოსნობით მუშაობა დაიწყეს მე-XIX საუკუნის ნახევარში, მაგრამ მალე შეჩერდა. 1922 წ. საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ჩათახის ქარხნებში მუშაობის განახლება და მართლაც ერთი წლის შემდეგ ნებით ტფილისის პროლეტარიატისა ქარხნებმა დაიწყეს მუშაობა. ჩათახის ქარხნის წინაშე ფართე მომავალი იშლება. მის ახლოს არის მდინარე, ხრამი წყლის დიდი ენერგიით და აგრეთვე შავი ქვის მადნები. ასე რომ შესაძლებელია რკინის და ფერომარგანის წარმოების ფართედ დაყენება. რკინის მარაგი ძალიან დიდია, რამოდენიმე ათეულ წლებში მისი ამოწურვა შეუძლებელია.

აგრეთვე საქართველოში ყურადღების ღირსია შემდეგი მთის ჯიშები: 1) ცეცხლ გამძლე თიხა—სოფ. ყანდარასთან, სადგურ ძირულის მახლობლად. სადგურთან არის ქარხანა „შრომა“. 2) ინფუზორიტი მოიხმარება შუშის და ხის პალიროვკისათვის. საღებავების, დინამიტების, დუღაპისათვის. მთავარი მადნები იმყოფება სურამის მახლობლად და ახალციხის მაზრაში. 3) გლაუბერის მარილი ტფილისის მაზრაში, სოფელ მუხრავანთან, მარილი 15 მილიონ ფუთს უდრის. მთავარი მომხმარებელნი არიან საქსოვი მრეწველობა (საღებავები), სოდის მრეწველობა. ქიმიური და ფარმაცევტიული პრეპარატების ქარხნები. საქართველოში ძველი დროიდანვე მოიპოვება ვერცხლის და ოქროს მადნები; არის აგრეთვე ნავთი და ნახშირი ამათ შემდეგ შევეხებით.

ახლა ავღვნიშნავთ მინერალურ წყლებს. საქართველოში რამოდენიმე ას მინერალურ წყალს დავთვლით, მაგრამ მნიშვნელობა მხოლოდ ზოგიერთებს აქვთ. განსაკუთრებით მოწყობილია და მნიშვნელობის მქონეა ბორჯომში ეკატერინეს და ევგენის წყაროები. პირველის სითბო უდრის 29,9° მეორესი 23,6. ეკატერინეს წყაროდან წყალს ასხამენ ბოთლებში და გააქვთ უცხოეთში, დაახლოებით ყოველწლიურად 14 მილიონი ბოთლი. ბორჯომში არის ბოთლების ქარხანა. აბასთუმანში არის მთელი რიგი მინერალური წყლების. ტფილისში არის გოგირდის წყაროები, (გოგირდის აბანოები).

დასავლეთ საქართველოში ქუთაისის მახლობლად არის წყალტუბოს წყაროები, რომელთა ტემპერატურა 40° უდრის, მკურნალობენ ქარებს. სენაკის მაზრაში—ნოქალაქევის წყაროები. რაჭის მაზრაში—შოვის რკინის წყაროები. აფხაზეთში ტყვარჩელის წყაროები; და ბევრი კიდევ სხვაგან.

უნდა ითქვას, რომ ყველა ეს წყლები სამკურნალო ხასიათისაა და იმყოფებიან ლამაზ, წარმტაც და ჯანსაღი ჰაერის მქონე ადგილებზე. ზოგ ამ წყლებს, მაგ. ბორჯომის წყალს, დიდი სახელი აქვს უცხოეთში მოხვეჭილი და შემოსავლის დიდ წყაროს წარმოადგენს. მთავარი ნაკლი ისაა, რომ ისინი არ არიან კარგათ მოწყობილი. ამ მხრივ დიდი მუშაობა სწარმოებს ახლა. ჩვენს კურორტებს დიდი მომავალი აქვთ და იმათ დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლიათ.

მ.—მ.

მეექვსე ლეგიონის უჯრედში.

ჩვენი უჯრედის კრებას დაესწრო ყველა წევრები და კანდიდატები. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1. ტერ-დივიზიაში მუშაობა 2. სამაზრო პარტ-კონფერენციაზე დელეგატების არჩევა, 3. კომპარტიის წარმოშობა და მისი მნიშვნელობა.

4. ბიურო კოლექტივის კანდიდატების წევრებად დამტკიცება და ახალ კანდიდატების არჩევა. 5. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. თავართქილაძემ, რომელმაც გააცნო კრებას ტერ-დივიზიის დიდი მნიშვნელობა და მასში მომუშავე ამხანაგების ამოცანები. მოხსენება ძალიან საინტერესო იყო, რომლის შემდეგ გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

სამაზრო პარტ-კონფერენციაზე დელეგატებათ, კრებამ აირჩია ორი ამხანაგი. ამხ. ამხ. თავართქილაძე. და ბოკუჩავა.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბოკუჩავა. მის შეეხო კოოპერაციის წარმოშობის ისტორიას და მის მნიშვნელობას. შემდეგ აღნიშნა თუ როგორ ვითარდება ის მუშურ-გლეხურ ქვეყანაში, აღნიშნა თუ რატომ არ შეიძლება განვითარდეს კოოპერაცია ბურჟუაზიულ ქვეყნებში და სხვა. მოხსენების შემდეგ იქნა შეკითხვები, რომლებზედაც მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

მეოთხე საკითხის შესახებ მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხანაგ შავლაძე, რომლის შემდეგ დამტკიცებული იქნა ორი ყოფილ ბიურო-კოლექტივის კანდიდატები წევრებად და არჩეული იქნა ორი კანდიდატი.

ა. ჭკადუა.

ბუნების მოვლენათა ახსნა-განმარტება.

მოჩვენება და სინამდვილე.

ბუნებაში ადამიანი ხშირად ხედავს იმას, რასაც ადგილი არ აქვს სინამდვილეში.

მეცნიერება ფარდას ხდის ყოველგვარ გაუგებრობას. არამც თუ მეცნიერება, უბრალო დაკვირვებაც კი საკმარისია ხშირად, რომ ესა თუ ის მოვლენა ნათელჰყო.

აქ მოვიყვანთ ამისათვის რამოდენიმე მაგალითს.

ასი წლის წინად ფრანგებს ომი ჰქონდათ ეგვიპტეში. ფრანგ ჯარებს მოუხდა მოგზაურობა უდაბნოზე. ჩვენ ვიცით, რომ უდაბნო ადგილებში იშვიათად მოიპოვება წყალი, ან ხეები, რომ დაღლილმა ადამიანმა თავი შეაფაროს მზის ცხურვალე სხივებს და დაისვენოს. ჯარის კაცები წყურვილითა და დაღლილობით იხოცებოდენ. რამოდენიმე დღის სიარულის შემდეგ მათ მოეჩვენათ წინ უზარმაზარი ტბა, რომლის ნაპირას გაშენებული იყო ტყეები და იქავე მოსჩანდა თეთრი სახლები. ჯარის კაცები გაამხნევა ამის დანახვამ და აუჩქარეს ნაბიჯს. მაგრამ რამდენიც არ იარეს, ეს ტბა უფრო და უფრო შორს მოსჩანდა. როცა მზე ჩავიდა, ეს მოჩვენებაც გაჰქრა. მაგრამ მეორე დღეს, შუადღისას კვლავ განმეორდა ის. იმ ადგილას სადაც ეს დაინახეს, არასდროს არავითარი ტბა და სოფელი არ ყოფილა.

ასეთი მოვლენები ხშირია დედამიწის სხვა და სხვა ადგილას. უფრო ხშირად მას ხედავს არაბები, უდაბნოს მოგზაურები.

მნახველები მოგვითხრობენ კიდევ უფრო საკვირველ ამბებს: ჩრდილოეთ ზღვაზე მოგზაურობდა გემი. წყნარი ამინდი იყო. გემზე მოსჩანდა ზარბაზნები და ადამიანები. ეს გემი მისცურავდა ჰაერში ისე, როგორც ზღვაზე. მეზღვაურები შეშინდენ. მათში ისედაც გავრცელებული იყო ხმები რაღაც ჯადოსნურ გემის შესახებ. ეხლა კი ამ გემს თავიანთი თვალით ხედავდენ. დაუძახეს კაპიტანს. კაპიტანი არ იყო ცრუმორწმუნე. ის მეტად დაკვირვებული კაცი იყო. კაპიტანმა შეხედა ჰაერში ამ არაჩვეულებრივ მოვლენას და მაშინვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. ეს სრულიად მიაგავდა იმ გემს, რომელიც მის გემს შეხვდა ზღვაზე რამოდენიმე დღის უკან. წარწერაც ისეთ ვე იყო ამ ჰაერში მოცურავ გემზე, როგორც მან იმ გემზე დაინახა.

რაში იყო საქმე, რამ აიყვანა ეს გემი ჰაერში?

ჰაერში მოსჩანდა არა გემი, არამედ მისი გამოხატულება, როგორც სარკეში. ჰაერს აქვს ისეთი თვისება რომ ის როგორც სარკე, ისე აჩვენებს დედამიწაზე ან ზღვაზე მყოფ საგნებს. ჰაერში ასეთი სახე თავდაყირად ეჩვენება ადამიანს. თუ ჰაერმა ეს სახე გვერდიდან აჩვენა, ეს სახე იქნება სწორი, ესე იგი ისე, როგორც თვით საგნები არის დედამიწაზე, ან ჩვენ ვხედავთ სახეს სარკის წინ.

30 ვერსზე ლენინგრადიდან გაშენებულია პატარა ქალაქი ორანიენბაუმი. აი ამ ქალაქის თავზე ცაში წყნარ ამინდში მოსჩანს ლენინგრადის სახე: მდ. ნევა, დიდი შენობები, ხომალდები და სხვა. აქაც, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, გამოკრთის ქალაქის სახე ჰაერში ისე, როგორც სარკეში.

ხშირად სახე მეტად მკაფიოდ მოსჩანს.

აი რას ამბობს აფრიკაში ნამსახური ერთი ოფიცერი: ერთხელ მე დავისვენე „ჩვენებათა გორაკის ძირში“ (ამ სახლს უწოდებენ ერთ ადგილს აფრიკაში) უცებ რამოდენიმე საჟენის მოშორებით მე დავინახე კაცი, რომელიც ჩამოჯდა ქვაზე. როცა ავდექი, ისიც ადგა. გავიქანე მისკენ-ის ჩემსკენ წამოვიდა. მე ვიცანი მასში ჩემი პოლკის ოფიცერი. როცა ახლოს მივედით ერთმანეთთან, მე შევშინდი: ეს კაცი მე მგავდა სრულიად. ვიშიშვლე ხმალი და გავქანდი მისკენ, მაგრამ იმანაც ეს გაიმეორა. ბოლოს როცა სულ ახლო მივარდი გაბრაზებული და ხმალი მოუქნიე, ეს „კაცი“ გაჰქრა. მე მომაგონდა მაშინ ლეგენდები მოჩვენებათა შესახებ, რომლებიც თითქოს ამ ადგილებში დადიოდენ და დავრწმუნდი თუ როგორ სცდებოდა ადამიანები, როცა სჯეროდათ ეს.

მე დავინახე არა კაცი და ლეგენდარული ჩვენება, არამედ ჩემივე თავის გამოხატულება, რომელიც ისე მკაფიოდ იყო გამონაკვთული ჰაერში, როგორც სარკეში.

სანამ ადამიანი გაიგებდა ასეთ მოვლენების მიზეზებს, ის მისთვის სასწაული იყო. ხოლო როცა მეცნიერებამ, ადამიანის დაკვირვებამ ფარდა ახადა ასეთ საიდუმლოს, ნათელი გაჰხადა ის. მეცნიერული ენით ასეთ ჩვენებებს მირაჟი ეწოდება.

№.

ამბები სოფლებიდან.

გზის გაყვანა მთა თუშეთში.

მთა თუშეთის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს თელავის აღმასკომის წინაშე, მთა თუშეთში გზის გაყვანაში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა.

სოფ. ტოლაში (ქვემო რაჭაში) იხსნება სკოლა სოფლის ახალგაზრდობისათვის.

სალიკვიდაციო სკოლები.

შორაპნის მაზრაში ამ ჟამად გახსნილია და მოქმედობს 365 წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

მოძრავი კინო.

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა შეიძინა მოძრავი კინო, რომლითაც ყველა სოფლებში უჩვენებენ რევოლიუციონურ სურათებს. სურათების ჩვენებას აუარებელი გლეხობა ესწრება.

ბავშთა კომ. ჯგუფი.

თელავში არსებობს ამხ. ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტური ჯგუფი, რომლისთვისაც აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს ერთფეროვანი ტანისამოსი.

სიმინდის მავნებელი.

შორაპნის მაზრის რამოდენიმე სოფელში გაჩნდა სიმინდის მავნებელი „პეპელა-ბურნა“. მიღებულია ზომები მავნებელთან საბრძოლველათ.

მეფუტკრეობის კურსები.

მიწ. მოქმედ. კომისარიატი, სოფ. წინამძღვარიანთ კარში ხსნის მეფუტკრეობის კურსებს.

ახალი ამბები.

— **აღმასკომის დახმარება წითელ არმიელთათვის.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა გამოყო კომისია, რომელსაც მიენდო წითელ არმიელთა ოჯახების საჩივრების განხილვა.

— **კონტრაბანდა თამბაქო წითელ არმიელთათვის.** თელავის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ მდგარ სამხედრო ნაწილს დაჭერილ კონტრაბანდა თამბაქოდან 3 ფუთი წითელ-არმიელთათვის დასარიგებლათ.

— **საჩუქრების დარიგება.** თელავის აღმასკომმა დაურიგ, იქ გამართულ ჯირითობაზე გამარჯვებულ წითელ-არმიელებს სხვა და სხვა საჩუქრები,

— **სასეირნო ბაღი.** ლენინის მუშათა უბანში იურიევის ქუჩაზე შეუდგენ სასეირნო ბაღის მოწყობას.

— **რამდენი ძალა აქვს ჩვენს მდინარეებს.** უკანასკნელი გამოკვლევების თანახმათ საქართველოს მდინარეებს შეუძლიანთ მოგვცენ ექვსი მილიონი ცხენის ძალა.

— **შემოსავალი ტყეებიდან.** ა. კ. ფინანსთა კომისარიატის ცნობით 1923 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოს ტყეებიდან წმინდა მოგების სახით შემოვიდა 102.918 მანეთი.

— **საფრენი მოდელების შეჯიბრება.** დღეს დილით კომუნისტური აღზრდის ცენტრ. სახლის (ყოფ. საკრებულო ტაძარი) ეზოში გაიმართება საფრენი მოდელების შეჯიბრება.

— **ლენინის ძეგლის გადატანა.** ქალ. აღმასკომის კომუნ. მეურნ. განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე ლენინის ძეგლის ფოსტის მოედნიდან, ლენინის სახლობის ბაღში გადატანის შესახებ.

— **სოფლის ნაწარმოებთა შესასყიდათ.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა. კ. უმაღ. ეკ. საბჭოს წინაშე, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის 500.000 მანეთის სესხის გახსნის შესახებ სოფლის ნაწარმოებთა შესასყიდათ.

განცხადება.

ორშაბათს, 24 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში გაიხსნება 1-ლ ქ. მს. დივიზიის სკოლის გარეშე მუშაკთა სემინარი, თანახმად პოლიტ-განყ. ბრძანებისა, ვალდებულნი არიან სემინარს დაესწრონ: კლუბის უფროსები, წრეთა ორგანიზატორები, წრეების ხელმძღვანელები, ლენინის კუთხის გამგეები, ბიბლიოთეკის გამგეები, ასეულის ბიბ. გამგეები და კლუბის გამგეობა.

საკლ. დარგის ინსტ. ტ. წვენიევი